5

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

No.201231-001 **31.12.2020წ**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „აისი" ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმავს 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი"-ს (ახალქალაქი 1 ჰესი და ახალქალაქი 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას. ზემოაღნიშნულ პროექტზე მიმდინარე წლის 12 მარტს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია N2-240 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„ახალქალაქი ჰესის" (ახალქალაქი 1 ჰესი და ახალქალაქი 2 ჰესი) მშენებლობისათვის დაგეგმილია სამშენებელო ბანაკის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საწარმოს, ნავთობპროდუქტების საცავის (რეზერვუარის), ბეტონის კვანძის, მოწყობა-ექსპლუატაცია, ფარავანი ჰესის სათავე ნაგებობის მიმდებარედ 63.14.34.003 საკადასტრო კოდით მითითებულ ტერიტორიაზე, ასევე ახალი საცხოვრებელი ბანაკის მოწყობის ნაცვლად ფარავანი ჰესის მშენებლობის პროცესში გამოყენებული საცხოვრებელი ბანაკის ექსპლუატაცია, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელი ჩუნჩხას მიმდებარე ტერიტორიაზე, საკადასტრო კოდი - 63.12.31.008;

თავდაპირველად სამშენებელო და საცხოვრებელი ბანაკის მოწყობა 2020 წლის 12 მარტის No2-240 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით გათვალისწინებული იყო სოფელ დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე, ხოლო ახალქალაქი 2 ჰესის სამშენებლო და საცხოვრებელი ბანაკის მოწყობა მდინარე კორხის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე მდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე. კომპანიის მიერ სამშენებლო სამუშაოების დროული და ეფექტური წარმოების მიზნით, ასევე გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესამცირებლად გადაწყდა ერთიანი სამშენებლო ბანაკის მოწყობა საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ უკვე არსებულ ფარავანი ჰესის სამშენებლო ბანაკის ანთროპოგენული ზემოქმედების მქონე ტერიტორიაზე და არსებული ფარავანი ჰესის საცხოვრებელი ბანაკის გამოყენება, რომელიც მდებარეობს სოფელი ჩუნჩხას მიმდებარე ტერიტორიაზე.

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; hsabouri@ais-georgia.ge

№ 3
"04" 01 2021
2 ფ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამშენებლო და საცხოვრებელი ბანაკის ტერიტორიის ცვლილება, წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, ასევე 2020 წლის 12 მარტის No2-240 ბრძანებით დამტკიცებულ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-9 პუნქტის ცვლილებას, რაც წარმოადგენს სკრინინგის ანგარიშის მომზადების საფუძველს.

გარდა ზემოაღნიშნულისა სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის, II დანართის 5.1 პუნქტის და ამავე კოდექსის მე-II დანართის 6.3. პუნქტის შესაბამისად (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება; ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია).

წარმოდგენილი გარემოებების გათვალისწინებით კომპანია „აისი"-ს კონტრაქტორმა კომპანიამ „ინფრა ქონსთრაქშენ-თი ქეი გრუპ"-მა, რომელიც უშუალოდ ახორციელებს სამუშაოებს, მოამზადა „ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის" (ახალქალაქი 1 ჰესი და ახალქალაქი 2 ჰესი) მშენებლობისათვის სამშენებელო ბანაკის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების საწარმოს, ნავთობპროდუქტების საცავის (რეზერვუარის), ბეტონის კვანძის, საცხოვრებელი ბანაკის) მოწყობა-ექსპლუატაციის ცვლილების პროექტი"-ს სკრინინგის განცხადება და ანგარიში, რომელიც მომზადებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელექტრონული ვერსია;

პატივისცემით,

შპს „აისი"-ს დირექტორი
თეიმურაზ მათითაშვილი

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; hsabouri@ais-georgia.ge